

აკარაპიტოზი

დაავადების გამომწვევია, ტრაქეალური ტკიპა **Acarapis Woodi**. ტკიპები ცხოვრობენ და მრავლდებიან ფუტკრის სასუნთქ ტრაქეებში. იჭრებიან რა ტრაქეებში და ჰაერის ბალიშებში, არღვევენ ტრაქეის კედლებს და წოვენ ჰემოლიმფას. ფუტკრები სუსტდებიან, უზიანდებათ მკერდის კუნთები, ვერ თბებიან და გაზაფხულისთვის იღუპებიან. ტკიპას ასევე ვხვდებით მამალ ფუტკრებში და დედაშიც. მდედრი ტკიპა დებს 5-7 კვერცხს ტრაქეის კედლებზე, საიდანაც იჩეკება ბარტყი და ვითარდებიან 11-15 დღის განმავლობაში მოზრდილ ტკიპად. ტკიპები პარაზიტირებენ ახალგაზრდა 2 კვირამდე ასაკის ფუტკრების ტრაქეებში. თავიანთი პირის აპარატით ხვრიტავენ ტრაქეების კედლებს და იკვებებიან ჰემოლიმფით. ასეულობით ტკიპას შეუძლია დასახლდეს ფუტკრის ტრაქეებში, რაც იწვევს ფუტკრის სიცოცხლისუნარიანობის შემცირებას. **Acarapis woodi** -ს სიგრძე 175 მკმეტრია (0,175მმ). მათი დანახვა შესაძლებელია მიკროსკოპის ქვეშ.



ფოტო 1.

ტრაქეალური ტკიპა *Acarapis woodi*

Acarapis woodi როგორც წესი იმყოფება დიდ ტრაქეალურ მილში (მეზოსომა ფოტო 2,3). ტკიპების განვითარება და შეჯვარება ხდება ტრაქეებში, და განაყოფიერებული მდედრები მიგრირებენ თავდაპირველი მასპინძლიდან ახლახან უჯრიდან გამოსული ახალგაზრდა ფუტკრის ტრაქეაში. მოზამთრე გუნდი უფრო მოწყვლადია დაავადების გავრცელების მიმართ. მამრი ტკიპები იშვიათად გვხვდება ფუტკრის ტრაქეებს მიღმა.



ფოტო 2

ტკიპა ფუტკრის ტრაქეაში

ფუტკრის ოჯახის ტრაქეალური ტკიპით დიდი დატვირთვა იწვევს:

- ჩარჩოზე ბარტყის რაოდენობის შემცირებას;
- მოზამთრე გუნდის შემცირებას;
- საკვების დიდ დანახარჯებს;
- პროდუქტიულობის შემცირებას;
- საბოლოოდ ფუტკრის ოჯახის დაღუპვას.

დაავადებისათვის დამახასიათებელი სიმპტომები:

- დაბლა მზობლავი ფუტკრები
- გაფარჩხული ფრთები
- ოჯახში ფუტკრების რაოდენობის შემცირება

დაავადების დასადგენად საჭიროა ფუტკრის ტრაქეების დათვალიერება, შესამჩნევია გამადიდებელი ლუპითაც



ფოტო 3

სუფთა თეთრი ტრაქეები, დაავადების ნიშნები არ ჩანს



ფოტო 4

ტრაქეა შავი ლაქებით, შავ ლაქებს ტრაქეალური ტკიპები ქმნიან

პროფილაქტიკური ღონისძიებები:

- კარგი საწარმოო პრაქტიკა
- სანამ ოჯახებს გააერთიანებთ დარწმუნდით დაავადების ნიშნების მატარებელი ხომ არ არიან;

მკურნალობა:

- ჭიანჭველმჟავის გამოყენება;
- ეთერზეთების შემცველი პრეპარატები, რომლებიც გამოირჩევიან აკარაციდული თვისებებით

ჭიანჭველმჟავის ხსნარის მომზადება

400 მლ ჭიანჭველმჟავას (86%) ვუმატებთ 200 მლ წყალს და ვღებულობთ 600 მლ (60-65%) ხსნარს, რაც საკმარისია 20 ოჯახზე, ერთ ოჯახზე 30 მლ-ის გათვალისწინებით

ანუ ერთ ოჯახში საღვთეტი უნდა დავასველოთ 30 მლ-ით, მოვათავსოთ ელვა შესაკრავიან პარკში, რომელიც ჩარჩოების მხრიდან დასერილია საკანცელარიო დანით.

გათვალისწინეთ, ასაკოვანი დედები შეიძლება მოკლას ამ ხსნარმა და ამიტომ ჭიანჭველმჟავის გამოყენება უმჯობესია ადრე გაზაფხულზე, ასევე საკონტროლებელია აორთქლება, გარემოს მაღალ ტემპერატურაზე 27°C-ს ზემოთ არაა მიზანშეწონილი ჭიანჭველმჟავის გამოყენება საფუტკრეში. შეგვიძლია გამოვიყენოთ თაფლის დაწურვის შემდეგაც, მუშაობს 3-4 დღის განმავლობაში.

დაიცავით უსაფრთხოების წესები.

ალეკო პაპავა